გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 107

2025 წლის 8 აგვისტო
ქალაქი გორი

გეოგრაფიული ობიექტის სახელდების მიზანშეწონილობის შესახებ

2025 წლის 26 ივნისს საკრებულოში შემოსულია მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის კონსტანტინე ბუზალაძის № 20-202517897 ინიციატივა, რომლითაც ითხოვს ქალაქ გორში, მდინარე მეჯუდის სანაპიროზე ახლად ჩამოყალიბებულ გზას, რომლის პირველი მონაკვეთის სავარაუდო სიგრძეა 807 მ; კოორდინატები: საწყისი X=426232.767 Y=4648898.1323; საბოლოო X=426232.767 Y=4648898.1323; ხოლო მე-2 მონაკვეთის სიგრძეა 242 მ; კოორდინატები: საწყისი X=426560.6806 Y=4649235.3807; საბოლოო X=426585.6744 Y=4649472.5505 მიენიჭოს გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორისა და პედაგოგის, საზოგადო მღვაწის ჯემალ ბეგლარიშვილის სახელი. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, საიდანაც გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო. კობა კურტანიძის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი. საკითხი განხილულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ და მიღებულ იქნა დადებითი დასკვნა. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, კობა კურტანიძის სახელის უკვდავსაყოფად, მიზანშეწონილად მიაჩნია გამონაკლისის დაშვება, რომელიც უკავშირდება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული გამონაკლისის დაშვება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის საჭიროებასთან დაკავშირებით, ქალაქ გორში, მდინარე მეჯუდის სანაპიროზე ახლად ჩამოყალიბებულ ქუჩასთვის, რომლის პირველი მონაკვეთის სავარაუდო სიგრძეა 807 მ; კოორდინატები: საწყისი X=426232.767 Y=4648898.1323; საბოლოო X=426232.767 Y=4648898.1323; ხოლო მე-2 მონაკვეთის სიგრძეა 242 მ; კოორდინატები: საწყისი X=426560.6806 Y=4649235.3807; საბოლოო

X=426585.6744 Y=4649472.550 გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორისა და პედაგოგის, საზოგადო მღვაწის ჯემალ ბეგლარიშვილის მისანიჭებლად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30)

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**